საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-02/120

ქ. ბათუმი 22 --- ივლისი, 2021წ.

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ინჟინერიის მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომების საჯარო დაცვასთან დაკავშირებით კომისიების შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", „ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 01 ოქტომბრის №01-02/130 ბრძანების, „2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების წარდგენისა და საჯარო დაცვის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 29 მაისის №01-02/52 ბრძანებისა და ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 20 ივლისის N726879 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ინჟინერიის მიმართულების „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობისა" და „ტელეკომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მიერ 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოსათვის სამაგისტრო ნაშრომების საჯარო დაცვის პროცესის ჩატარების მიზნით შეიქმნას კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

ა) „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის" სამაგისტრო პროგრამაზე

1. პროფესორი გიზო ფარცხალაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი გოჩა ჩავლეშვილი - კომისიის წევრი;
3. პროფესორი თეიმურაზ ქიქავა - კომისიის წევრი;
4. ასოცირებული პროფესორი თემურ თურმანიძე - კომისიის წევრი;
5. ასისტენტ-პროფესორი თეიმურაზ ჯოჯუა - კომისიის მდივანი.

ბ) „ტელეკომუნიკაციის“ სამაგისტრო პროგრამაზე

1. პროფესორი ენვერ ხალვაში - კომისიის თავმჯდომარე;
2. პროფესორი გიზო ფარცხალაძე - კომისიის წევრი;
3. ასოცირებული პროფესორი გოჩა ჩავლეშვილი - კომისიის წევრი;
4. ასოცირებული პროფესორი ნუგზარ ჭედია - კომისიის წევრი;
5. ასისტენტ-პროფესორი მარინა ჩხარტიშვილი - კომისიის მდივანი.

2. კომისიამ იხელმძღვანელოს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, „ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 01 ოქტომბრის №01-02/130 ბრძანებით და „2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების წარდგენისა და საჯარო დაცვის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 29 მაისის №01-02/52 ბრძანებით.

3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტს (ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელსა) და კომისიის წევრებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**